უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №60

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 21/11/2019 წ
სხდომის დაწყების დრო 16:13 სთ
სხდომის დამთავრების დრო 18:50 სთ
სხდომის თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი
საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; **(საბჭოს თავმჯდომარე)**

2. გიორგი ამილახვარი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი;

3. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; **(საბჭოს მდივანი)**

4. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

5. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

6. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

8. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

9. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;

10. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

11. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	დალი გურასპაშვილი	იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვახტანგ ლეჟავა	შპს - თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ნუცა ბათიაშვილი	შპს - თავისუფალი უნივერსიტეტი	დეკანი	I
3	მარინა ქარჩავა	შპს - თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	I
4	ნინო ჯოჯუა	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	II
5	თეა კბილცეცხლაშვილი	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	დეკანი	II
6	ილია ბოცვაძე	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პროგრამის კოორდინატორი	II
7	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III
8	თინათინ ღუდუშაური	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	III
9	ჯონი მწარიაშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ავტორიზაციის განყოფილების უფროსი	III

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

10	ტარიელ ფუტკარაძე	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
11	ლევან ბებურიშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
12	პაატა გოგიშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი	V
13	მარინე მათიაშვილი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	VI
14	ლელა მასხულია	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	VI
15	ლალი ხუციშვილი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ემზარ ჯგერენაია		I
2	იაგო კაჭკაჭიშვილი		I
3	მამუკა არეშიძე		I
4	მარიამ მუქერია		I
5	გიორგი ღაღანიძე		II
6	ეკა გეგეშიძე	ჩაერთო Skype-ის საშუალებით	II
7	ლორენცო რუკი	ჩაერთო Skype-ის საშუალებით	III

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

8	ლანა ბოკუჩავა	ჩაერთო Skype-ის საშუალებით	III
9	დარეჯან თვალთვაძე		V
10	თინათინ კიღურაძე		V
11	სვეტლანა ბერიკაშვილი	ჩაერთო Skype-ის საშუალებით	V
12	ცოტნე სამადაშვილი	სატელეფონო ჩართვა	VI

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ,,სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

2. შპს - თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

4. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ კი

შუამდგომლობის ინიციატორი: ქეთევან ქოქრაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს - თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ,,სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს - თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სოციალური მეცნიერებები
2	სტატუსი[2]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 03 თებერვალი, №19
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	სოციალური მეცნიერებები
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„-----„

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0319
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0159, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240, კახა ბენდუქიძის კამპუსი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

---

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგადი შთაბეჭდილება ძალიან პოზიტიურია და გაცემული რეკომენდაციები მხოლოდ კეთილმოსურნის პოზიციიდან არის შემუშავებული. მისი თქმით, უნივერსიტეტში კეთილგანწყობილი გარემო იყო, ასევე, მან აღნიშნა, რომ პროგრამა სოციალური მეცნიერებების განვითარებისკენ არის მიმართული და სოციალური კვლევის მეთოდებს დიდ ყურადღებას უთმობს, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს რაოდენობრივ მეთოდებს. როგორც მან აღნიშნა, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში სტატისტიკის კურსი უნდა შევიდეს. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა მხოლოდ სოციალური მიმართულებების გარკვეული ნაწილის სწავლებას უზრუნველყოფს, თუმცა, თანამედროვე სოციალურ თეორიებს მხედველობის მიღმა ტოვებს, შესაბამისად, მისი აზრით, უმჯობესი იქნება სოციალური თეორიების უფრო გაფართოებული სახით სწავლება.

ექსპერტმა იაგო კაჭკაჭიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა მთლიანობაში კარგია, ის თავისი შინაარსით ნამდვილად ინოვაციურია და ინდივიდუალურ მუშაობასა და კონსულტაციებზეა დაფუძნებულია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ერთ - ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ძალიან ბევრი პოზიტიური მაგალითი იპოვეს, რომელიც შეიძლება სხვა პროგრამებმაც გამოიყენონ და ეს ყველაფერი მითითებულია, როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ პროგრამა სპეციფიკურია და დაწესებულებისთვის მისი ღირსებების დაფასება მნიშვნელოვანია. როგორც მან აღნიშნა ინსტიტუცია არსებითად ეთანხმება რეკომენდაციებს. მისი თქმით, გარკვეულწილად ეს მათ გეგმებშიც შედის, ვინაიდან კვლევაზე ორიენტირებულ მაგისტრატურაში, რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისა და თვისებრივი კვლევის მეთოდების თანაბარი სწავლება ნამდვილად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია თეორიების პალიტრის სრულყოფილი წარმოდგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ შედარებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ სტატისტიკის ცალკე კურსად გამოტანასთან დაკავშირებით, კერძოდ, მისი თქმით, გაღრმავებულ სტატისტიკასთან დაკავშირებით ძალიან დიდი ენერგია უნდა დაიხარჯოს, რაც კრედიტებში გამოისახება და შეიძლება იმ მიზნისთვის არ იყოს პროპორციული, რასაც პროგრამა მიზნად ისახავს. მისი თქმით, დაწესებულებაში ბევრი სტუდენტი ჰუმანიტარული განათლებით მიდის, შესაბამისად, ისინი სტატისტიკის ელემენტებს ამ რაოდენობრივ მეთოდებში ისწავლიან. თუმცა, მისი თქმით სტატისტიკა სტატისტიკოსმა უნდა აკეთოს, სხვა შემთხვევაში, დაწესებულებას მოუწევს იმ ხალხთან თანამშრომლობა, ვინც ეს მეთოდები უკეთ იცის. მისი თქმით, დეფიციტი, რომელიც რაოდენობრივ მეთოდებში შეინიშნება, ნამდვილად მისაღებია და უმჯობესი იქნებოდა, სტატისტიკის ელემენტები სწორედ ამის ფარგლებში ისწავლებოდეს, ასევე, მან აღნიშნა, რომ წამყვან უნივერსიტეტებში მოიძიეს მსგავსი პროგრამები, რომლებიც რაოდენობითი მეთოდების სწავლებით შემოიფარგლებიან.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებს მადლობა გადაუხადა და სთხოვა, დაეკონკრეტებინათ მათი შემოთავაზებები. მან აღნიშნა, რომ ცალკე რაოდენობრივი მეთოდების კურსს აკეთებენ, რომელშიც აღწერითი და გამოყენებითი სტატისტიკის ელემენტები იქნება ინტეგრირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა, სტატისტიკის კურსის დამატება ფორმალური იქნება თუ არა.

ექსპერტმა იაგო კაჭკაჭიშვილმა უპასუხა, რომ მნიშვნელობა არ აქვს სტატისტიკა ცალკე კურსად გამოყოფილი იქნება თუ არა. მისი თქმით, არ შეიძლება რაოდენობრივი მეთოდების კურსი გაღრმავებული სტატისტიკის გარეშე ისწავლებოდეს, ასევე არ შეიძლება მაგისტრანტმა სოციალური მეცნიერების კვლევით პროგრამა რეგრესიის და ფაქტორული ანალიზის ცოდნის გარეშე დაამთავროს. როგორც მან აღნიშნა, სტატისტიკა, როგორც თემატურად, ისე ტექნიკურადაც რაოდენობრივ მეთოდებში ჩადგა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში სავალდებულო რეკომენდაციის სახითაა მოცემული სტატისტიკის კურსის სასწავლო პროგრამაში განსაზღვრა, ამიტომ თუ დასკვნაში აღნიშნება, რომ სტატისტიკა მაინცდამაინც ცალკე კურსად არ უნდა იყოს წარმოდგენილი, ისინი აღნიშნულ რეკომენდაციას შეასრულებენ.

ექსპერტმა იაგო კაჭკაჭიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ გაკეთებული სილაბუსი სოციალურ მეცნიერებებთან უნდა იყოს ინტეგრირებული, სტატისტიკა კი პროგრამით ისე უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ სტუდენტს შეუვსოს ცოდნა. იგი დაეთანხმა იმას, რომ სტატისტიკის კურსი რაოდენობრივი მეთოდების კურსში უნდა იყოს ინტეგრირებული.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:03 სთ

დამთავრების დრო - 17:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ პირველი და მესამე რეკომენდაცია სრულად გაიზიარა, ხოლო მეორე რეკომენდაცია შეცვალა.

პირველი რეკომენდაციის თანახმად: „სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს კვლევით კომპონენტს, თუმცა, სოციალური კვლევის მეთოდები არსებითად შემოფარგლულია თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლებით და პრაქტიკულად არ ითვალისწინებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, რომელიც სოციალურ მეცნიერებების მაგისტრის კვალიფიკაციის აუცილებელი ნაწილია“.

მესამე რეკომენდაციის მიხედვით კი: „სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, მოითხოვება საკვლევი პრობლემების ანალიზი სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და კონცეპტუალური ჩარჩოს საფუძველზე; თუმცა, აღნიშნული პროგრამა

უზრუნველყოფს სოციალურ თეორიათა მხოლოდ გარკვეული ნაწილის სწავლებას და ყურადღების მიღმა ტოვებს მნიშვნელოვან თანამედროვე სოციალურ-თეორიულ პარადიგმებს (მაგალითად, ეთნომეთოდოლოგიას, სისტემების თეორიას, პოსტმოდერნიზმს და ა.შ.). შესაბამისად, საჭიროა სასწავლო პროგრამის გაძლიერება აღნიშნული მიმართულებით".

საბჭომ, საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გათვალისწინებული მეორე რეკომენდაციის შეცვლის შესახებ, შესაბამისად, მეორე რეკომენდაცია შეიცვალა და დაზუსტდა შემდეგნაირად: „"რაოდენობრივი კვლევის მეთოდების" სილაბუსით გათვალისწინებულ იქნეს „სტატისტიკის საბაზისო მეთოდები", რაც მოიაზრებს აღნიშნული ორი სილაბუსის ინტეგრირებას".

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10]	სოციალური მეცნიერებები
2	სტატუსი[11]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 03 თებერვალი, №19
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12]	სოციალური მეცნიერებები

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

5	უმაღლესი განათლების საფეხური[13]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[14]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული
10	კვალიფიკაციის კოდი[16]	0319
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[17]	საქართველო 0159, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240, კახა ბენდუქიძის კამპუსი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

2. მეორე საკითხი: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	ფინანსები
2	სტატუსი[20]	აკრედიტებული

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 09 დეკემბერი, №445 2018 წლის 01 აგვისტო, №91
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	ფინანსები
5	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[23]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში (Bachelor of Business Administration in Finances)
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
10	კვალიფიკაციის კოდი[25]	0204
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №13, კმ. №2
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამას პირობითი აკრედიტაცია აქვს მინიჭებული, რომელიც 170 კრედიტიანია. მისი თქმით, ვინაიდან ექსპერტები ვიზიტზე პირობითი აკრედიტაციის შემდეგ იმყოფებოდნენ, ჯგუფის ძირითადი ინტერესი იყო შეესწავლათ, თუ როგორ დაკმაყოფილდა წინა რეკომენდაციები და რჩევები. მისი თქმით, ვიზიტი 2019 წლის 3 ოქტომბერს განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსებში ერთი და იგივე სახელმძღვანელო ფიგურირებდა. მათ აკადამიურ პერსონალთან ერთად ჩათვალეს, რომ გვერდები უნდა დაზუსტებულიყო და შედეგად, ყველა სილაბუსში დაკონკრეტდა გვერდების რაოდენობა. მისი თქმით, სახელმძღვანელოში 24 თავია, შესაბამისად, ორი და სამი სილაბუსი შეიძლება დაიწეროს. მან აღნიშნა, რომ დუბლირების საფრთხე აღმოიფხვრა. სტანდარტულად ის სამუშაოები, რაც უნდა ჩატარებულიყო ჩატარდა, ასევე ჩატარდა შეხვედრები, მათ შორის კურსდამთავრებულებთან. მისი თქმით, კურსდამთავრებულებთან შეხვედრის დროს ძალიან მაღალი ლოიალობის დონე გამოიკვეთა. დამსაქმებლებთანაც გაიმართა შეხვედრები.

ექსპერტმა რეკომენდაციების შესახებ აღნიშნა, რომ ძირითადი რეკომენდაცია 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით არის გამოთქმული, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია გაიმიჯნოს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. გარდა ამისა, არის რამდენიმე რჩევა. მისი თქმით, უმჯობესი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის და სხვა საგნების დამატება. ასევე, ფაკულტეტების მიხედვითაც უნდა არსებობდეს ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ საუკეთესო პრაქტიკად სტუდენტების კარგად ორგანიზებული სოციალური ცხოვრება და ასევე, კურსდამთავრებულთა მჭიდრო ურთიერთობა დაასახელეს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ წინა ვიზიტის შედეგად გამოთქმული ყველა რეკომენდაცია, პრაქტიკულად გათვალისწინებულია. როგორც მან აღნიშნა, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგები რეალისტური და შესრულებადია.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენლის ეკა გეგეშიძის თქმით, ექსპერტების რეკომენდაციები პროგრამაში სრულიად ასახულია. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი სხვადასხვა კლუბების ორგანიზებას ახდენს, რომელიც დასკვნაში ასევე აისახა.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ თუ კი 2.3 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი" და მეორე სტანდარტის დანარჩენი ქვესტანდარტები, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", მაშინ მეორე სტანდარტი უნდა შეფასებულიყო როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". მისი თქმით, ეს წმინდა ტექნიკური საკითხია. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა ექსპერტებს მიმართა და დაინტერესდა, მიაჩნდათ თუ არა მათ რომ ექსპერტთა დასკვნაში არსებობდა ხარვეზი. თუ კი ისინი ეთანხმებიან ტექნიკური ხარვეზის არსებობას, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეცდომა ჩასწორდეს. ექსპერტები დაეთანხმნენ, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზია დაშვებული და მეორე სტანდარტი მოთხოვნებთან სრულად შესაბამისია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, საინტერესო იყო ექსპერტების გარე შეფასებები. მან აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა დამატებით ერთი რეკომენდაცია გასცა, რომლის მიხედვითაც აუცილებელია ტერმინოლოგიური უზუსტობის გამოსწორება, კერძოდ, მან ყურადღება გაამახვილა „ბიზნესის სამართლებრივი გარემოს" სასწავლო კურსის სილაბუსზე და აღნიშნა, რომ მესამე კვირაში 7-8 საკითხია გაერთიანებული, ამ საკითხებს კი ლექტორი 2 საათში ვერ წარმოადგენს. შესაბამისად, მისი რეკომენდაციის მიხედვით, აუცილებელია „ბიზნესის სამართლებრივი გარემოს" სილაბუსში არსებული ტერმინოლოგიური ხარვეზების გამოსწორება და ლიტერატურის განახლება.

ექსპერტმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტები რეკომენდაციებს ეთანხმებიან. მისი თქმით, პროგრამის შედგენის დროს იურისტი არ ჰყავდათ, შესაბამისად ტერმინოლოგიურად გარკვეული ხარვეზებიც დაფიქსირდა.

საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა, უნივერსიტეტში პრაქტიკის კომპონენტის არსებობასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა ილია ბოცვაძემ უპასუხა, რომ პრაქტიკა მათ სავალდებულო კომპონენტად აქვთ წარმოდგენილი, რომელიც გულისხმობს კომპანიებში სტაჟირების 180 საათის გავლას. მისი თქმით, სტუდენტებს შეუძლიათ ეს კომპანიები თვითონ მოძებნონ, თუმცა მათ ასევე 100-ზე მეტ კომპანიასთან აქვთ მემორანდუმი გაფორმებული და ძირითადად აქედან ხდება შეთავაზება. როგორც მან აღნიშნა, არსებობს პრაქტიკის შეფასების ფორმა, რომელსაც პრაქტიკის ანგარიში ეწოდება. სტუდენტს ე.წ მენტორი ჰყავს გამოყოფილი, რომელიც აღნიშნულ თვითშეფასების ანგარიშს ავსებს და ქულებს წერს. მისი თქმით, შეფასების დოკუმენტის ერთი ვერსია ორგანიზაციაში რჩება, ერთი კი უნივერსიტეტის არქივში ინახება.

საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ სად ხდება საბოლოო პრაქტიკის დაცვა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტს შეფასების დოკუმენტი მიაქვს, შემდეგ კი ხდება დაცვა, რომელსაც კომისიის წევრებთან ერთად, კომპანიების წარმომადგენლებიც ესწრებიან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს დამატებით მისცა რეკომენდაცია, რომ „ბიზნესის სამართლებრივი გარემოს" სასწავლო კურსის სილაბუსში გასწორდეს ტერმინოლოგიური ხარვეზები და განახლდეს ლიტერატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28]	ფინანსები
2	სტატუსი[29]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 09 დეკემბერი, №445 2018 წლის 01 აგვისტო, №91
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30]	ფინანსები
5	უმაღლესი განათლების საფეხური[31]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[32]	მეექვსე

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში (Bachelor of Business Administration in Finances)
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
10	კვალიფიკაციის კოდი[34]	0204
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №13, კმ. №2
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

3. მესამე საკითხი: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ,,სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია
2	სტატუსი[38]	აკრედიტებული

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 24 დეკემბერი, №295
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია
5	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[41]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი (PhD in Social and Cultural Anthropology)
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
10	კვალიფიკაციის კოდი[43]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[44]	საქართველო 0171,ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, IV კორპუსი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

---

[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს სხდომას უცხოელი ექსპერტი, Lorenzo Rook-ი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ჩაერთო და აღნიშნა რომ ვიზიტის მიმდინარეობისას გამოიყო კრიტიკული საკითხები, რომელიც პროგრამის შეფასებისას უნდა იყოს გათვალისწინებული. მისი თქმით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი პროგრამის მდგრადობაა. როგორც მან აღნიშნა, კურსის ისტორიის განმავლობაში სტუდენტების რაოდენობა ძალიან დაბალია, პროგრამისთვის კი ეს არის მთავარი საკითხი.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა უცხოელ ექსპერტს და დაინტერესდა, თუ რატომ არის სტუდენტების რაოდენობა მდგრადობასთან დაკავშირებული, რაზეც უცხოელმა ექსპერტმა უპასუხა, რომ პერსონალი და მათი საქმიანობა ამ პრობლემის ნაწილია. მისი თქმით, მდგრადობის პრობლემაა ასევე სტუდენტების არყოლა, რადგან, ის თუ რამდენად შეუძლია ასეთ პროგრამას იმუშაოს, ფინანსებზეა დამოკიდებული.

მან აღნიშნა, რომ შეფასებაში სწავლების სტრუქტურასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, რომ სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ყველა კომპონენტი იყოს წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა მატერიალურ რესურსთან და ლიტერატურის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაციების მიხედვით სილაბუსში მოცემული ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ასევე საერთაშორისო ბაზებზე წვდომა შეუზღუდავად უნდა ხორციელდებოდეს. მისი თქმით, უნივერსიტეტში ვიზიტის განხორციელებისას ტექნიკური შეფერხება დაფიქსირდა, რაც მისი აზრით, იმას არ ნიშნავს, რომ სტუდენტებს და პერსონალს საერთაშორისო ბაზებზე წვდომა არ შეუძლიათ. რაც შეეხება სილაბუსებში ასახულ ლიტერატურას, ისინი სილაბუსში იმ ლიტერატურის ჩამონათვალს არ განსაზღვრავდნენ, რაც ბიბლიოთეკებში არ აქვთ, შესაბამისად მათ ბიბლიოთეკაში ის ლიტერატურა გააჩნიათ, რაც სილაბუსშია მოცემული.

ექსპერტი ეკა გეგეშიძე საბჭოს სხდომას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ჩაერთო, რომელმაც დასკვნაში ასახულ მესამე სტანდარტთან დაკავშირებით ისაუბრა. მისი თქმით, პროგრამას ერთი სტუდენტი ჰყავდა, რომელმაც სწავლა უკვე დაამთავრა. ექსპერტმა მასთან ინტერვიუ ჩაატარა, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში მას შესაძლებლობა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო პროექტებში.

საბჭოს თავმჯდომარე

_____

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი ერთ-ერთი რეკომენდაციით დაინტერესდა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაში დამსაქმებლის ნაკლებ ჩართულობას ეხებოდა, რის გამოც პროგრამა ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს ვერ პასუხობს. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა ვერ გასცა პასუხი, რადგან ტექნიკური ხარვეზის გამო ექსპერტთან კავშირი გაწყდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა და აღნიშნა, თუ რამდენად მართებული იყო სადოქტორო პროგრამაზე დამსაქმებლის ჩართულობის აუცილებლობა, რაზეც საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ უპასუხა, რომ სადოქტორო პროგრამაზე დასაქმება საერთოდ არ არის საჭირო, ვინაიდან შესაძლებელია დოქტორმა მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობა გააგრძელოს.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა ასევე, ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთ რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც თუ კი დაწესებულებას შესაბამისი მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები არ გააჩნია, ვერ ექნება კარგი სადოქტორო პროგრამა. მისი თქმით, ეს ცოტა შეუსაბამოა.

საბჭოს წევრი ნინო ლიპარტია დაინტერესდა იმით, თუ ვის შეუძლია პროგრამაზე ჩაბარება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჩაბარება შეუძლიათ ჰუმანიტარული და სოციალური ქცევითი მეცნიერებების კურსდამთავრებულებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა და აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა საკითხის განხილვის გადადება, რადგან საბჭოს ფაქტობრივად არ ჰყავს მოპასუხე ექსპერტი, ასევე, დასკვნა მისი აზრით, საკმაოდ მძიმეა.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობას შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ,,სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის წინაშე იშუამდგომლა, რომ საკითხის განხილვა უახლოეს მომავალში ჩაინიშნოს.

4. მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა საბჭოს შუამდგომლობით მიმართა "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების შესახებ, ვინაიდან, საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, დაწესებულებას ცენტრში ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ უნდა წარედგინა ანგარიში. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობას.

შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

5. მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46]	ქართული ფილოლოგია
2	სტატუსი[47]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	„----„
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48]	„----„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[49]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[50]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ა)ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში; ბ)ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართული ლიტერატურის ისტორიაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
10	კვალიფიკაციის კოდი[52]	0232
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[53]	საქართველო 0179, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №53ა
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე	-

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

	ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54]	
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტის თქმით, პროგრამა არის ახალი, თუმცა 2015 წლიდან ფუნქციონირებდა „ქართული ენათმეცნიერებისა“ და „ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც 2018 წელს გაერთიანდა. მისი თქმით, პროგრამას ყველა ეტაპი აქვს გავლილი. ექსპერტმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მისი თქმით, ვიზიტი 2019 წლის 20 სექტემბერს განხორციელდა. როგორც მან აღნიშნა, პროგრამა თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს, თუმცა პრობლემა მისანიჭებელი კვალიფიკაციების დასახელებებთან დაკავშირებით არსებობს, რომელიც უნდა შესწორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან. ცვლილების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციები უნდა იყოს შემდეგნაირი: ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში და ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციების დასახელებები გავლენას არ ახდენს პროგრამის შინაარსზე და სწავლის შედეგებზე, თუმცა ის აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

მეორე რეკომენდაცია ეხება უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელ სამუშაოებს. ექსპერტის თქმით, პროგრამის ამუშავების შემდეგ უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებისა და საათების

[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

განაწილების მონიტორინგი უნდა განახორციელოს, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს კითხვარების მიღწეული შედეგების, ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების ანალიზის საფუძველზე.

მესამე რეკომენდაციის მიხედვით, ენის კურსების სილაბუსები უნდა გადამუშავდეს. ექსპერტის თქმით, სილაბუსში შეტანილია სინტაქსის, მორფოლოგიური და სხვა ისეთი თემები, რომელიც პრაქტიკული კურსის შინაარსს არ შეესაბამება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა სტუდენტურ გარემოს საკმაოდ კარგად უზრუნველყოფს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ექსპედიციებსა და საველე სამუშაოებში მიიღონ მონაწილეობა და ამის საფუძველზე შეასრულონ სამაგისტრო ნაშრომები. მისი აზრით, ინტერნაციონალიზაციის მხრივ კარგი იქნებოდა, თუ სტუდენტებს მეტი შესაძლებლობები ექნებათ, თუმცა მისთვის ისიც გასაგებია, რომ ეს არის ქართველოლოგიური კვლევა და ამ კუთხით საზღვარგარეთ ნაკლები სკოლებია. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სამეცნიერო აქტივობებსა და ადგილობრივ კონფერენციებში მიიღონ მონაწილეობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი საკვალიფიკაციო კოდების ცვლილების აუცილებლობას ეთანხმებიან. მისი თქმით, მეორე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი სილაბუსების დიდ ნაწილში 6 კრედიტიანი სასწავლო კურსის მოცულობაა. როგორც მან აღნიშნა, ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს დაებადათ კითხვა დაწესებულება სამომავლოდ როგორ მოახერხებდა ადაპტაციას. მისი თქმით, აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ ისინი ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების გამოკითხვას ატარებენ. სტუდენტები თითოეულ საგანს ცალ-ცალკე აფასებენ. შეფასებაში არის ისეთი კითხვებიც, რომლებზე პასუხები შესაძლოა გამოკვეთილი პრობლემების გადახედვის საფუძველი გახდეს.

18:03 საათზე საბჭოს სხდომას შეუერთდა ხათუნა თოდაძე.

პროგრამის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ექსპერტებს მადლობა გადაუხადა. მან დააზუსტა ენების სტრუქტურის საკითხი. მისი თქმით, ისინი ასწავლიან სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებს. მათი ინტერესია, რომ სტუდენტებმა გრამატიკულთან ერთად, პრაქტიკული ნაწილიც ისწავლონ. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც გაცემულია აკადემიური წერის მიმართულებით, გათვალისწინებულია და საგამომცემლო საგნები სასწავლო კურსების ჩამონათვალშიც ჩაემატება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ლიტერატურის გამდიდრებას, შესრულებულია. მისი თქმით, რიგ სილაბუსებს ელექტრონული რესურსები დაემატათ, ასევე გასწორდა ტექნიკური ხარვეზებიც. მან დამატებით აღნიშნა, რომ მათთვის რჩევების დიდი ნაწილი მისაღებია, რომელიც პროგრამაში უკვე გათვალისწინებულია.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა ექსპერტებს მიმართა, რათა მათ რჩევებთან დაკავშირებით დეტალურად ესაუბრათ.

ექსპერტმა ჩამოთვალა მათ მიერ გაცემული რჩევები. ერთ-ერთი რჩევის მიხედვით, სასურველია პროგრამას შესაბამისი ცოდნისა და უნარების განმავითარებელი კურსები დაემატოს. მან მაგალითად საგამომცემლო საქმიანობისთვის საჭირო კურსები მოიყვანა. ექსპერტთა რჩევაა, რომ ევროპული ენები არჩევითი იყოს. რეკომენდაციები გაიცა საერთაშორისო კონტაქტების შესახებაც. სტუდენტების ერთ ნაწილს, სწორედ იმის

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

გამო, რომ უცხო ენის ცოდნა შეზღუდული აქვთ, ამ რესურსების გამოყენების საშუალება არ ეძლევათ. დოკუმენტში მითითებულია ძალადაკარგული ბრძანება, შესაბამისად მითითებული უნდა იყოს ახალი ბრძანება.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მათ მხოლოდ 4 ძირითადი პროფესორი ჰყავთ. აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა 31/4-ია. მისი თქმით, ეს ძალიან მცირეა. ასევე ლევან გორდეზიანი დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ორივე პროგრამაზე სამ-სამი სტუდენტი ჰყავთ. მისი თქმით, ისინი რჩევას გაითვალისწინებენ და საგამომცემლო საგნებს დაამატებენ. ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა განისაზღვრა. მან აღნიშნა, რომ ირანში, თურქეთში მიმდინარეობს ექსპედიციები, თუმცა პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სხვა სახის ინტერნაციონალიზაცია ცოტა რთულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამაში არსებული კვალიფიკაციის დასახელება მოდიფიცირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, რომლის თანახმად მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სახით: „ა)ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში; ბ)ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართული ლიტერატურის ისტორიაში";

ბ) პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ უნივერსიტეტმა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების და საათების განაწილების მონიტორინგი; თუ მოძიებული ინფორმაცია წარმოაჩენს შეუსაბამობას სტუდენტების უმრავლესობის სავარაუდო და რეალურ დატვირთვას შორის, შეიძლება გადაიხედოს სტუდენტის დატვირთვა, კრედიტები და სწავლა-სწავლების მეთოდები;

გ) გადამუშავდეს ენის კურსების სილაბუსები, რომლებიც შინაარსობრივად ენის პრაქტიკული კურსისა და ენის სტრუქტურის კურსის ერთგვარ ნაერთს წარმოადგენენ. სილაბუსებში უმეტესად ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის სწავლებაა მიზნად დასახული, რაც უფრო ენის სტრუქტურის შემსწავლელ კურსებს შეესაბამება, ვიდრე ენის პრაქტიკულ (სინთეზურად, მისი საკომუნიკაციო ფუნქციით გამოყენების მიზნით) შესწავლას;

დ) "სამეცნიერო წერის საფუძვლები და სამაგისტრო ნაშრომის აგების პრინციპების" კურსი გადამუშავდეს და შეივსოს ახალი მასალით;

საბჭოს თავმჯდომარე

_____

ხელმოწერა

ე) საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და გამდიდრდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, ასევე გასწორდეს ზოგიერთ სილაბუსში არსებული ტექნიკური სახის ხარვეზი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55]	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	სტატუსი[56]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57]	2011 წლის 21 ოქტომბერი, №125

[55] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[56] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[57] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

		საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881 განკარგულების საფუძველზე ხელახალი აკრედიტაციის ვადა - 2019 წლის 01 ივლისი
5	უმაღლესი განათლების საფეხური[58]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[59]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
10	კვალიფიკაციის კოდი[61]	0906
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[62]	საქართველო 0177 (0186), ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

---

[58] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[59] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[60] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[61] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[62] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[63] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

✓ კი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

18:21 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტი, ცოტნე სამადაშვილი საბჭოს სხდომას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ჩაერთო. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა. მისი თქმით, ვიზიტის დროს სახელწოდების დეფინიციასთან დაკავშირებით საკითხი დაისვა. ასევე, ექსპერტები თვლიან, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სრული რესურსი გააჩნია იმისათვის, რომ ეს პროგრამა განახორციელოს. ექსპერტმა ისიც აღნიშნა, რომ ლიტერატურა არამხოლოდ ამ პროგრამისთვის, არამედ მთლიანად სამედიცინო დარგისთვის არის პრობლემური, რადგან ქართულენოვანი ლიტერატურა არ არსებობს. მისი აზრით, რა თქმა უნდა სფეროში სამედიცინო ლიტერატურის ქართული თარგმანები საჭიროა.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველა სილაბუსში მითითებულია სასწავლო რესურსი, ეს კი პროფესორებისთვის ძალიან დიდი შრომაა. თუმცა, მისი აზრით, უკეთესი იქნება მისი ქართულენოვანი ლიტერატურით გამდიდრება. მისი თქმით, სფერო ამდენ ახალ უცხოენოვან ლიტერატურას ვეღარ უძლებს, რადგან ფაქტობრივად ქართულენოვანი ლიტერატურა არ არსებობს. ექსპერტის შეფასებით, დადებითი მხარე არის ის, რომ დაწესებულებას კლინიკაში ინტეგრირებული პროგრამა აქვს და ამ პროგრამის კლინიკურ ნაწილში უცხოელები არიან ჩართული. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ბიბლიოთეკის განახლება გეგმაში აქვს და მათ ამ პროცესის დაჩქარება ურჩია. ასევე, დაწესებულებამ რეაბილიტაციის ახალი კლინიკის მშენებლობის შესახებ პროექტი წარუდგინა, თუმცა ექსპერტის თქმით, არსებულიც ძალიან კარგია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა ლელა მასხულიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს კონსტრუქციული გარემო იყო შექმნილი, რამაც მათ საშუალება მისცა უკეთ წარმოეჩინათ პროგრამა. მისი თქმით,

რეკომენდაციების ნაწილის განხორციელება ახალი სასწავლო წლიდან დაიწყო. მან პოპულარიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს ძალიან სწრაფად განვითარებადი დარგია.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა პირველად 2008 წელს შედგა და 2011 წელს გაიარა აკრედიტაცია. ამ დროის განმავლობაში კი უნივერსიტეტმა დიდი გზა გაიარა. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და კიდევ კეთდება. როგორც მან აღნიშნა, ისინი 3 დეკემბრისთვის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღისთვის ემზადებიან. ასევე, უნივერსიტეტი საგანმანათლებლო გამოფენებსა და ღია კარის დღეებში რეგულარულად მონაწილეობს. მისი თქმით, ამ მიმართულებით კურსდამთავრებულებიც ბევრს აკეთებენ. ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათი აზრი ექსპერტების აზრს სრულიად ემთხვევა. ისინი ამ მიმართულებით დიდი ხანია მუშაობენ და სულ მალე ქართულენოვანი დარგობრივი სახელმძღვანელო ექნებათ. 2020 წელს იქნება განახლებული და თავიდან გამოცემული. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტში მისი მოდერნიზაციის პროექტია გათვალისწინებული, ვინაიდან რესურსები ძალიან კარგი აქვს და კიდევ უფრო კომფორტული და მოდერნიზებული გახდება.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი პროგრამის შემდგომი განვითარებით დაინტერესდა. მან ადამიანურ რესურსზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ პროგრამა შედარებით ახალი დარგია, კლინიკური რესურსი კი არის ძალიან მცირე.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ იმისათვის, რომ პროგრამა სამომავლოდ უფრო დაიხვეწოს, განსაკუთრებული აქცენტი კლინიკურ პრაქტიკაზე უნდა გაკეთდეს. მისი თქმით, პრაქტიკა განსაკუთრებით მეშვიდე და მერვე სემესტრში უნდა გაძლიერდეს. მათ ასევე ძალიან ეხმარებათ უცხოელი პარტნიორები. როგორც მან აღნიშნა, ასევე დაიწყო და სამომავლოდაც გაგრძელდება მაგისტრანტების გადამზადება, შემდეგ კი ისინი სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან. 2020 წლის დასაწყისში, რეაბილიტაციური კუთხით ძალიან საინტერესო ტრენინგები იგეგმება. მისი თქმით, გერიატრიული რეაბილიტაცია ცალკე მოდულის სახითაა. ის გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამაშიც. ასევე იგეგმება გაცვლითი პროგრამები ტარტუს უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამისთვის სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 09
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი ნინო ლიპარტია